


ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆՈՒՐԱԿՈՒՄԱՐՈՒՄ

FS 3853
09



ქართული


სამხარეულო & საოჯახო სამეურნეო. ნა-
ცადნი ცნობანი

(დამატებითი შოგერითა რუსულთა საჭმელთა.)

F 174
2

შედგენილი

კნ. ბარბარე ჯორჯაძისაგან.



ტფილისი

ექვთიმე სელაძის სტამბა

1874

Тифлисъ, типографія Е. Хеладзе, 1874 г.

IX, 165, 10 გ. (16x12), [ფ. 174, 2]

Дозволено цензурою, Тифлиса, 10 Февраля 1874 года.



FS 3853
09

წინა სიტყვაობა.

ამ დროას ცვლილებას, გლახობას რეფორმას და დღევანდელს ჩუქსს მდგომარეობას რომ უყურებ, საქიროთა ვხედავდი სამზარეულოს წიგნის შედგენას, რადგანაც არ მეგულოვება ქართულს ენაზე ამგვარი წიგნი.—იქნება ისინი არ ჰსაქიროებდნენ ამ გვარს წიგნს, რომელნიც მზარეულებით დარუსულის სამზარეულოს წიგნებით უზრუნველნი არიან, მაგრამ, ვისაც შეძლება არა აქვს, რომ დაიჭიროს ქირით, კარგი მზარეული და არც იცის რუსული, რომ იმ ენაზედ დაწერილის წიგნებიდან მაინც შესძლოს გააკეთებინოს საქმელები, მაშინ იმას შეუძლიან ამ წიგნით ისარგებლოს.—ესეც უნდა დაესძინო რომ, შეძლებაც რომ გქონდეთ, ხანდის-ხან ისე გაძნელებდა ხოლმე ხეირიანი მზარეულის შოვნა, რომელიც, ან თქუტსს გემოვნებაზედ ვერ გააკეთებს საქმელს დაან სრულებით წინააღმდეგს თქუტსის სურვილისას.—რადგან, თითქმის, ყოველს ქალს ვალათ აძევს ოჯახის მზრუნველობა, ამისათვის ეს წიგნი მზა არის, იყოს სახელმძღვანელოთ სამზარეულოში, უნდა განავსათ საქართუტსლოში არსებულთა საქმელთა გაკეთებისათვის და სხვა საოჯახო სამეურნეო ნაცადთა ცნობათ სარგებლობისათვის, ესე იგი: მასალების შენახვისა, ღვინის დაყენებისა, არყის გამოხდისა, ძაფების შეღებისა, საპნის მოხარშვისა, მურაბების და მწნილების გაკეთებისა და სხვათა, და სხვათა, რომელნიც მიუცილებელნი საჭირონი არიან, უნამეტ-

წავესათ სოფელში და ეს თუ ასეა, ამისათვის აქვე და-
ვსძინე რაოდენიმე ევროპიული სახელ-და-ხელო
საქმელებიც.—ყოველს შემთხვევაში, თუ ამ შრომით,
მცირედსაც არის სარგებლობას მოუტან ჩემთა მემამუ-
ლეთა, მე ვიქმნები დაჯილდოვებული მით; ხოლო ამ
შრომას, თუ რაამე ნაკლებევაება შეამჩნდეს, ვიმე-
ლოვნებ, საზოგადოება შემინიშნავს და გამამხნევებს
დარიგებითაც, რათა შემდეგში გამოვსცე უფრო
სრული და უკილო სამზარეულო და საოჯახო სამე-
ურნეო წიგნი.—



წვნიანი საჭმელები.

1. ბოზბაში.

მოიღეთ, ოთხი გირვანქა ხორცი, ცხვრისა, გინა ბატენისა, ასო ასოთ დასტკრით, ცივს წყალში კარგათ გაკრცხეთ, ქვაბში ჩაყარეთ, გირვანქის მეოთხედი ღუმს თან ჩაატანეთ, ზედ იმოდენი წყალი დასხვით, რომ ერთი ხელის დაღება წყალი ედგეს ზეიდგან ხორცსა; როდესაც წამოდუღდეს, ქაფი მოჭხადეთ, ოთხი პირი რომ გადმოიდუღოს, და ქაფი აღარა ჰქონდეს, აიღეთ და სხვა ტურტკელში გადაწურეთ, ხორციც გადაანრიკეთ და რაც ძირში ლეჩი ჰქონდეს გადუღვარეთ, შემდეგ ისევე შემოდგით ცუცხლზედ და შიგ ქვაბში ჩაყარეთ ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი და ერთი სტოლის კოვზიც წმინდათ დაწყვილი ბრინჯი, მეცხე ღუმს ამოიღეთ გააცივეთ, წმინდათ დაკეპეთ და ისიც შიგვე ჩაყარეთ; ხორცი რომ კარგათ მოინარშოს, სადილის მირთმევამდის ნუ შეანელებთ, მხოლოდ ქვაბი შორიანლად დადგით თბილათა, — სადილის მირთმევის დროს სამი კვერცხი გათქეიფეთ და იმ გაკრიფებულს ბოზბაში ჩაუშვით და ამ დროს თქვენს გემოსედ შესავეთ მარილით, მასთან ნახევარ მისხალი ქართული წაფრანა მისხავე წვეთში გასხვინით და შიგ ჩაუშვით, ბოლოს გადაცხელეთ და დასხმის დროს ერთი სტაქანი წმინდათ დაჭრილი ქინძი და ტარხუნა შიგ ჩაყარეთ და მზათ იქნება. — თუ ბოზბაში ძყავით გნებავდეთ, იმ შემთხვევაში მოიღეთ ტყემლი, ცალკე მოხარშეთ, გასწურეთ და რა ერთიც სიმყავე თქვენს გემოვნებასედ გხურდეთ, იმოდენი სიმყავე მიეცით, — მოტანის დროს შეიძლება ტყემლის მაგივრათ ისძაროთ: ისრიძი, ტყრამი, კოწახური და ბროწოული, რომელიც გემოვნებოდესთ,



მაგრამ უკვლავად უკეთესი სიმუხვე ჯ უწყინარი, არის
 კოწახური ჯ ისრბი, ანუ ნაშარაბი, რომლის გაკეთება
 ქვემოთ აგვიწერია.

ამის მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ხორცი,
 გირვანქის მეოთხედი ღუმა,
 ათი თავი ხახვი, ანუ გირვანქა ნახევარი
 ერთი სტოლას კოვზი დანაყილი ბრინჯი
 სამი კვერცხი,
 ნახევარ მიხხალი ქართული ზაფრანა,
 ერთი კონის მეოთხედი ტარხუნა,
 ხუთი ძირი ქინძი,
 ერთი სტოლის კოვზი მარლი,
 ერთი ფინჯანი გამოწურული კოწახური,
 ანუ ხხვა რამ მუხაკი,
 ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

2. ბოსბაში გუფით.

მოიღეთ ხუთი გირვანქა ხორცი ცხვრისა, გინა
 ბატონისა, დასტერით წვრილათ ჯ რაც ძვლიანი ნაჭერი
 იუოს ცალკე აიღეთ ჯ რაც რბილი ნაჭრები გამოირჩეს
 ცალკე, აქედან აიღეთ გირვანქა ნახევარი ხორცი, ძლიან
 წმინდათ დაკეპეთ ჯ ის ძვლიანი ხორცი, გარეცხეთ, ჩაყა-
 რეთ ქვაბში, ზედ იმოდენი წყალი დაახსით რომ ერთი
 ხელის დადება მეტი წყალი ედგეს ზეიდან; როდესაც
 ქაფი მოხადოთ როგორც ზემოთა ხწერია, გადაწურეთ
 ხხვა ჭურჭელში, ხორცი გადააწივეთ, ღუქი გადაუღვა-
 რეთ ჯ ისევე ცუცხლზედ დადგით, ერთი გირვანქა დაჭრი-
 ლი ხახვი შიგ ჩაყარეთ, ხარშეთ, მანამდის ხორცი მოი-
 ხარშება. გუფთაც ანუ დაუმზადეთ; ხორცს რომ დაჭკე-
 ჷავთ, ნახევარ გირვანქა ხახვი თან დააკეპეთ ძლიან წმინ-

დათა, საძი გათქვეფილი კვერცხი შიგ აურევით, ერთი სტოლის გოკუნი წმინდათ დანაყილი ბრინჯი მოაყარეთ, გარდა ამისა მოიდეთ: ერთი სტოლის გოკუნი მარლი, ოთხი ან ხუთი მარცვალი, დანაყილი პილპილი, ათს ილს რაც გული ქქონდეს ის დაუნაყეთ, ერთი ჩაის გოკუნი დანაყილი დარიჩინი & ესენი, ყოველივე, შიგ აურევით, შემდეგ აიღეთ, აქედან, თითო ნიგუზას კაკლას ოდენი, ასე შესაკვებელი ხორცი, დააგროვალეთ გუფთებათ, & დანაყილ ბრინჯში გააგრო-გამოაგროეთ & ჩააწყეთ ქებაში, მერმე იმ მოხარშული ხორციდან გამოწურეთ წვენი & გუფთას ზედ დაასხით, იმოდენი, რაოდენიც დაჭყანავს, დადგით & მოხარშეთ, როდესაც ხორციც მოხარშოს & გუფთაც, მაშინ ერთათ მოაქტივეთ, შემდეგ გასხენით ნასკვარ მისხალი ზაფრანა მისხავე წვენიშა & შიგ ჩაუშვით & ერთი სტაქანი ტარსუნა & ქინძი, წმინდათ დაჭრილი, შიგ ჩააყარეთ, მარლით შეახვეთ & მზათ იქნება; დუმა კი ყოველთვის ბოზბაშს უნდა დაუკვებოთ & მისცეთ. ამასთან, თუ გუნებუბათ, მუჟვეც უყვით, რაგორც ბოზბაშისათვის დაგვიწერა.

ამის მასალათ მიეცით:

- ხუთი გირვანქა ხორცი,
- სასვი გირვანქა ნასკვარი, ანუ ჯამ-ნასკვარი,
- დუმა გირვანქის მეოთხედი,
- საძი კვერცხი,
- ოთხი სტოლის გოკუნი დანაყილი ბრინჯი,
- ერთი სტოლის გოკუნი მარლი,
- ხუთი მარცვალი დანაყილი პილპილი,
- ათი ილი,
- ერთი ჩაის გოკუნი დანაყილი დარიჩინი,
- ნასკვარ მისხალი ქართული ზაფრანა,
- ერთი კონის მეოთხედი ტარსუნა,



ხუთი ძირი ქინძი,
 შეკვეცთ თუ გენებოთ მიეცით, ერთი ფინჯანი გამაწურული.
 ეს არის ექვსი კაცის ულუფა

3. ცხვარი, ანუ თხა კომძით.

ძლიერად მთხი გირვანქა ხორცი ასო-ასოთ დასტკ-
 რით, კარგათ ვარცხნეთ და ჩაყარეთ ქვასში, წყალი ერთი
 ხელის დადუბასკად მეტი დასხნით, როცა წამოდუღდეს
 ქაფი მახადეთ და მანამ ხორცი ძლიერად მთხი,
 თუ დიდრონი კომძები არის ექვსი, თუ წვრილი კომძი
 არის თორმეტი, დასტკრით სიგრძეზედ, თხლათ,
 გუფს ნუ შეყოფებთ და გაფრქვანა კი არ უნდა; ამასთან-
 ხაკე ხახვი დათლილი ერთი გირვანქა, ანუ ერთი ჯამი
 ჩაყარეთ ცალკე ტაფაში, ზედ დასხნით ერთი სტაქანი
 ერბო და მახრავთ, როდესაც ეყობ, ის დათლილი კომ-
 ძიც შიგ ჩაყარეთ და მთხუშეთ, შემდგომში მახარაშული
 ხორცილად წვენი გადმოწურეთ და იმოდენი დასხნით ტა-
 ფაში, რაც იმ კომძს მახარაშებს; როდესაც ეს კომძი
 კარგათ მახარაშობს, მასში შიგ ჩაყარეთ ორი სტო-
 ლის კოვზი დაფქული შაქარი და თუ ხორციც მზათ
 არის, მასში ის წვენიც და ხორციც კომძში აურიკეთ,
 წვენი თხლათ არ უნდა იყოს, მერმე შეაზავეთ მარილით
 და ჩაყარეთ ერთი ხაის კოვზი დანაყილი დარიხინი, ათი
 ილის გული დანაყილი და ნახევარ სტაქანი წმინდათ
 დატკრილი ქინძი მახარეთ და მზათ იქნება.

ცხვარი ანუ თხა თუ ბებერი არის და წვენი დააკლ-
 და ხარშავს, ქვასით უნდა ცხელი წყალი გუდგოთ და
 იქიდან დაუმატებდეთ ხორცი, მანამ შეატყოთ რომ
 ხორცს ხარშავს კიდევ უნდადეს.

ამის მასალათ მიეცით;

მთხი გირვანქა ხორცი,



ექვსი დიდი კომში, ანუ ჰატარისა თორმეტი,
 ხასვი ერთი გირვანქა* ან ერთი ჯამი დაჭრილი,
 ხასვეარი გირვანქა, ერბო, ანუ ერთი სტაქანი,
 ორი სტოლის გოვზი დათქული შაქარი!
 ერთი ჩაის გოვზი დათქული დარჩინი,
 ათი ილი,
 ხუთი ძირი ქინძი,
 ერთი სტოლის გოვზი მარლი,
 ეს არის ექვსი კაცი ულუფა.

4. ბონართმა ცხვრისა, ბაკტისა, გინა თხისა.

მოდეთ ოთხი გირვანქა ხორცი, წვრილ-წვრილ
 ნაჭრათ დასჭერით ჭ კარგათ გარეცხეთ, თავის შესაფერ
 ქვაბში ჩაყარეთ ჭ წყალი იმოდენა დაასხით, რომ ხორცს
 შემოთ ედგეს, როცა წამოდუდეს—ქათვი მოჭხადეთ;
 ხორცი რომ მოხსარშოს, წვენი ცალკე გადაწურეთ ჭ
 გირვანქა ხასვეარი ალყათ დაჭრილი ხასვი ცალკე ტავაში
 ჩაყარეთ, ზედ დაასხით ხასვეარი გირვანქა ერბო ჭ მოხ-
 რაკეთ ისე, რომ ხასვი დაწითლდეს, მეომე ის მოხარშუ-
 ლი ხორციც შიგ ჩაყარეთ ჭ ერთათ მოხრაკეთ მანამ
 კარგათ დაწითლდეს; თუ ხორცი მსუქანი არის ერბო
 ხაკლები მიეცით; მეომე ის გადაწურული წვენი ზედ
 დაასხით, შეასავკეთ მარლით ჭ ხასვეარ სტაქანი წმინ-
 დათ დაჭრილი ქინძი ჭ ხუთი მარცვალა დანაყილი პილ-
 პილი ზედ მოაყარეთ.

მასალათ მიეცით

ოთხი გირვანქა ხორცი,
 გირვანქა ხასვეარი ხასვი,
 ერთი სტაქანი ერბო,
 ხუთი ძირი ქინძი,
 ხუთი მარცვალა პილპილი,
 ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

5. ძროხის ხორცი თათარიანსკეთ:

მოიღეთ ოთხი გირვანქა ძროხის ხორცი, ასლ-ასლთ დასჭერით, კარგათ გარეცხეთ & ჩაყარეთ თავის შესათერს ქვაბში ზედ დაასხით იმოდენი წყალი, რომ ერთი ხელის დადება მეტი ზედ ედგეს, წამოდულებაში ქათვი მოხადეთ, წვენი გადაწურეთ & ხორცი გადაარჩივით, ისევე ცეცხლზედ დადგით & როდესაც კარგათ მოისარ-შობს, ერთი სტაქანი წმინდათ დაჭრილი ნიასური ჩაყარეთ, ძარილით შეახვეთ & მზათ იქნება.

თუ ვინც ცლობას ძროხას, ბებური იყოს & წვენი დაი-შობს, ქვაბით ცხელი წყალი უნდა გედგეთ & საწმუკა-შივე დაუმატოთ.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ხორცი,
 სამი ძირი ნიასური,
 ერთი სტოლის კოვზი ძარილი,
 ეს არის ექვსი კანის ულუფა.

6. ძროხის ხორცი რუსული ბადრიჯნით *)

მოიღეთ ოთხი გირვანქა ხორცი, ასლ-ასლთ დასჭერით, თავის შესათერს ქვაბში ჩაყარეთ, კარგათ გარეცხილი & ზედ, როგორც ზემოთა სწერია, წყალი იმოდენი დაასხით, ქათვი მოხადეთ & ჩაყარეთ: ხუთი თავი დაუჭრელი ხახვი, ორი ძირი ნიასური & ორი ძირი ოხრახუში, როდესაც მოისარ-შობს, გადაწურეთ სხვა ჭურჭელში, ხორცი გადაარჩი-ვით & ლექი გადუღვარეთ, შემდეგ ოცი რუსული ბად-რიჯანი შუა-შუა, გასჭერით, ცალკე მოხარშეთ, საცერში გაწურეთ & ხორცითან აურიეთ, შემდეგ სამი კვირტნი გათქვიფეთ & შიგ ჩაუშვით, ისევე შემოდგით ცეცხლზედ

*) ზომდამური.



თან კოვსით მოუწივეთ ღ თან ადუღეთ, მერმე ერთი ძი-
რი ოხრასუში წმინდათ დასტერით და ოთხი ძარცვალი
დანაყილი პილპილი, რვა ძარცვალი ბაჭარი *) ჩაყარეთ.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა სორცი,
ერთი გირვანქა ხახვი, ანუ ხუთი თავი,
ოცი თავი პომიდამური,
ორი ძირი ნიასური,
სამი ძირი ოხრასუში
ოთხი ძარცვალი პილპილი,
რვა ძარცვალი ბაჭარი, ანუ სამი,
ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

7. ძროხის სორცი ხარძოთ.

მოიღე ოთხი გირვანქა სორცი, დასტერით ძალიან
წერილათ, კარგათ გარეცხეთ ღ ჩაყარეთ თავის შესაფერს
ქვამში, ზედ დაასხით იმოდენი წყალი, რომ ერთი ხელის
დადება მეტი წყალი ედგას სორცს ზემოთა, წამოდუღე-
ბაში ქათვი მოხადეთ ღ გადაწურეთ სხვა ტურტელში, ლექი
გადუღვარეთ ღ სორცი გადაარჩივეთ, ისეკ დადგით ღ ხა-
რშეთ, შიგ ჩაყარეთ ერთი გირვანქა დაჭრილი ხახვი, ნა-
სკვარ სტაქანი წმინდათ დანაყილი ბრინჯი, ერთი ხელის
ტოლი ტყემლის ტყლაპი გარეცხეთ, წერილათ დასივეთ
ღ იმ სორცში ჩაყარეთ, ანუ მოხარშული ტყემალი მიე-
ცით ნასკვარ ფინჯანი, მასთან ათი ძარცვალი პილპილი,
წმინდათ დანაყილი, ღ შვიდი ფოთოლი დაფინისა, შიგ
ჩაყარეთ, ნასკვარ სტაქანიც წმინდათ დაჭრილი ნიასური
ღ ოხრასუში, ძარილით შეახლეეთ ღ მზათ იქნება.

*) ანგლისკის ჰერცი.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა სორცი,
 ერთი გირვანქა ხასვი,
 ხასვეარ სტაქანი დანაყელი ბრინჯი,
 ხელის ტოლი ტყეძლის შეაკე,
 ათი მარცვალი ვილპილი,
 ორი ძირი ნიასური,
 ორი ძირი ოხრასუში,
 ერთი სტოლის კოკზი მარლი,
 ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

8. ძროხის სორცი ბურღულით.

მოიღე ოთხი გირვანქა ძროხის სორცი, დასტკერით ჭ
 ჩაყარეთ ქვაბში, როდესაც მოქაფოთ, მასინ ერთი სტა-
 ქანი ბურღული შიგ ჩაყარეთ, როდესაც ისე მოინარშოს
 რომ სულ ჩაიშალოს, მასინ მარლით შეახელოთ, ხარშ-
 ვაში; თუ წვენი დაიშროს, ადუღებულ წყალი დაუმატეთ;
 წვენი ისე უნდა ედგეს, როგორცაა სუშხა.

მასალათ მიეცით

ოთხი გირვანქა სორცი,
 ერთი სტაქანი ბურღული,
 ერთი კოკზი მარლი,
 ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

9. არტალა ძროხისა,

მოიღე ძროხის არტალა, ესე იგი კანტები ძროხი-
 სს, აგრეთვე ცური ჭ ბურტი, აადუღეთ წყალი, დასტკერით
 სორცი ჭ კარგათ გარეცხილი ჩაყარეთ თავის შესაფერხ
 ქვაბში, დაახსით ის ადუღებულ წყალი ჭ იმოდენა ხარ-
 შეთ, რომ ის მარღვებიანი სორცი სულ შიგ ჩაინარშოს
 ჭ წვენი გასქელდეს, შემდგომ დანაყეთ ნიორი გაფტქნი-



ლი ღწაერთიც თქუწნს გემოკუნებასუდ გერებოთ, იმოდენი
ნიორი უყავით, ძარილით შესაწყეთ ღ მათ იქნება.

მასალათ მიეცით

ძროხის კანტები,
ერთი ცური ღ ჰურტი,
ოთხი კბილი ნიორი,
ერთი სტოლის გოკნი ძარილი,
ეს არის ექვის კაცი ულუფა.

10. საში ძროხისა, გინა ცხურისა.

ძროხის, ანუ ცხურის ფაშვი ღ ნაწლეკები კარგათ
გარეცხეთ, მერქე მწვეტიანი ჩხირით ის ნაწლეკები გა-
დახბრუნეთ, რომ შიგ ჩირქიანი არა დარჩესრა, ამასთა-
ნაკე ძროხის, ან ცხურის ფეხები გააკეთეთ წმინდათ.—
როდესაც კარგათ გარეცხათ, აადუღეთ წყალი ღ შიგ ჩა-
ყარეთ, გააღაღაღეთ ღ ამოიღეთ, დაფხიკეთ, შემდგომ
წვრილათ დასტყერით ფაშუ, ნაწლავ, ფეხებს გარდა; როდეს-
საც დაამზადათ თეთრათა ღ სუფთათ, მამინ ჩაწყეთ
თავის შესაფერს, დიდს ქვამში ღ სუდ წყალი, ბლომთ,
რომ ქვამი გაიმხოს, შემოდგით ცეცხლსუდ ღ რომ ადუ-
ღდეს, ქაფი მოხადეთ, როდესაც ისე მოინარშოს, რომ
ფეხები სუდ ჩაიშაღოს ღ წვენი გასქედდეს, მამინ შე-
ტყობთ რომ კუო საშს მოხარშვა.—სვალ რომ საში გნე-
ბამდეთ დღესკე უნდა დაამზადათ, შემოდგათ, ხარშოთ
ღ მეორეს დღეს იქნება, მათათ. მამინ ძარილით შე-
საკეთ თქუწნს გემოკუნედ ღ ვისაც გნებათ წმინდათ და-
ხაყილი ნიორიც მიეცით, რაერთიც ვამებოდესთ.

მასალათ მიეცით:

რაც ერთს ძროხას, ან ცხურს ფაშვი, ნაწლეკები ღ
ფეხები აქვს,



ოთხიგბილი ნიორი:

ერთი სტოლის კოვზი მარლი,
ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

11. ღორის სორცის უალია.

მოიღეთ ოთხი გირვანქა ღორის სორცი. ახლ-ახლთ დასტკერით, ქაფი მოხადეთ & როდესაც სორცი მოიხარშოს. ამოიღეთ, შედგებ მსუქანი წმინდათ გაწურეთ, მოიღეთ სელის ტოლი ტყემლის ტყლაში & წვრილათ დასიგეთ გარეცხეთ & იმ წვენიში ჩაყარეთ, ადრულეთ & ის ტყლაში ამოჭყლიტეთ, მერმე გემოვნება წასეთ, თუ ძალიან მუკავა კიდევ წვენი დაუმატეთ, თუ ხაკმაოთა აქვს სიმუკავა & მაშინ ხუთი კვკრცხი გათქვიფეთ & იმ გაგრილებულს წვენიში ჩაუშვით, მოურიკეთ & სელ-ახლათ ხუელ მორეკით ადრულეთ; შემდეგ მარლით შეახვეთ & თუ გნებამთ ღორის სორციც შიგ წვენიში ჩაწყეთ, თუ გნებამთ & სორცი ცალკე მიართვით & წვენი ცალკე.

მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ღორის სორცი,
ერთი სელის ტოლი ტყემლის ტყლაში,
ხუთი კვკრცხი,
ერთი კოვზი მარლი.
ეს არის ექვსი კაცის ულუფა.

12. ჩიხითმა ბატკნისა

მოიღეთ ოთხი გირვანქა ბატკნის სორცი, ახლ-ახლთ დასტკერით & კარგათ გარეცხეთ, შემდეგომ თავისხვე შესაფურს ქვაბში ჩაყარეთ, ზედ იმოდენი წყალი დაახსით, რაც სორცს დაჭუფარავს; წამოდრულებაში ქაფი მოხადეთ & რომ მოიხარშოს გადმოდგით, წვენი ცალკე გადაწურეთ; ჭამ-ნახკვარი ალუათ დაჭრილი ხახვი, ჩაყარეთ



ტაფაში, ზედ დასხით ერთი სტაქანი ერბო და ისე მოხრაკეთ რომ ხასვი ჩაითუთქვას, ან დაწითლოთკი, შემდგომ ერთი სტოლის კოვზი მარლი ჩაყარეთ და ის ბატონის სორცინ შივ ჩაყარეთ და მოშუშეთ, მერმე დასხით ის გადაწურული თავისი წვენი, რომდესაც რომ ჰინი გადამოიდუღოს, მასინ გადამოღვით და გააცივეთ მოიღეთ ექვსი კვერცხი გათქვიფეთ და იმ კვერცხს ზედ დასხით ხასვი ვანი სტაქანი ძმარი, ანუ ნაძარაბი, ანუ ისრინი, კოწასურის წვენი, ან ლიმონის წვენი, ამათგანი ერთ ერთი სიმყავე მიეცით და იმ სორცს თან მოურივით, თან ეს კვერცხი და მყავე არეული დასხით, ზედ-ახლათ შედგით ისევე ცენსლზედ და მოურივით ხის კოვზით; მანამდის ადუღ-დებოდეს, რეჟა ან დაყენოთ თორემ აიჭრება, რომ ადუღდეს გადამოღვით და მოყარეთ ერთი სტაქანი ჰიტნა და ქინძი წმინდათ დაჭრილი, ხასკვარ მისხალი ზაფრანა დამხალი გუდგეთ და იმ დროს მიეცით, მარლით შეასა-გეთ და მყავთ იქნება.

მასლათ მიეცით:

- ერთი გირვანქა სორცი,
- ერთი გირვანქა ხასვი
- ხასკვარ სტაქანი ძმარი, ანუ ხსვა რამ სიმყავე,
- ექვსი კვერცხი.
- ხასკვარ კონა ჰიტნა,
- ხასკვარ კონა ქინძი,
- ხასკვარ მისხალი ზაფრანა,
- ერთი კოვზი მარლი,

ეს არის ექვსი გაცის ულუფა.

13. ჩინითმა, ბატონა, ინდოურისა, გინა ქათმისა, ან მოვინგულთაგანი, რომლისაც გაკეთება გეგებოთ, ანო ანოთ დასტურით, კარგათ გაბტყენილი და გარცხნილი, ჩაყარეთ თავის შესაფერს ქვამში, წყალა იმოდენი



დაახსნით, რომ ხორცს ზემოთ ცოცხა მეტი ედგის, წამოდულებასში ქათვი მოხადეთ და როდესაც მოინახროს წვენი ცალკე გადაწურეთ, მოიღეთ ჯამ ნასვეარი დაჭრილი სასვი ერთს სტაქსანს ერბოში მოხრავეთ ძალიანი არ დააწითლოთ და კარგათვი უნდა ჩაითუთქოს, მეძმე ჩაყარეთ ძარილი და ის დაჭრილი ბატი, ანუ სსკა რამ ფრინველთაგანი ჩაყარეთ და მოშუშეთ, მეძმე ის გადაწურული წვენი ზედ დაახსნით და აადუღეთ, შემდგომ გადმოიღეთ და გააცივეთ, მასში ექვსი კვერცხი გათქვიფეთ და ზედ კვერცხს დაახსნით ნასვეარ სტაქსანი ძმარი ანუ სსკა სიძუაკე რომელიც გენებოთ და იმ გაგრილებულს ბატში ჩაუშვით და თან მოურივეთ, დადგით და ისევე სელმეორეთ აადუღეთ და თან სის-კოფნით ურივეთ; მორევა არ დააყენოთ თორემ აიჭრება, ან კვერცხი ცხელში არ ჩაუშოთ რომ ადუღდეს გადმოდგით ძარილით შეასვავთ და მოაყარეთ ნასვეარ სტაქსანი წმინდათ დაჭრილი ქინძი და ზიტნა, აგრეთვე თუ გქონდეთ ტარხუნა (როში ერთერთი) აგრეთვე მიეცით ნასვეარ მისხალი ზაფრანა და მზათ იქნება.

ვარიზს ჩინითმაც ასევე უნდა, მხოლოდ ვარიზავი მოხარშავს აღარ უნდა. — გაბტუვნილს დასჭრით ახლა ახლთ გარეცხავთ და სასვე რომ მოხრავათ, შემდეგ ვარიზსაც მოხრავათ და ზედ იმოდენს წყალს დაახსნით რაც იმას ეყოფა და ისევე იმ საიწათვე შეასვავთ.

მასხლათ მიეცით:

ბატი, ანუ ინდოური, ქათამი, ანუ ვარიუმი ერთ ერთთაგანი, ერთი სტაქსანი გამდნარი ერბო ანუ ნასვეარ გირვანქა,

ორი გირვანქა სასვი,

ექვსი კვერცხი,

ნასვეარ მისხალი ქართული ზაფრანა,

ერთი კონის ნასვეარი ზიტნა,

ნასვეარი კონა ტარხუნა, ანუ ქინძი.

ნასევარ სტაჟანი ნაშარაბი, ანუ ძმარო.
ერთი სტოლის ვოკსი ძარლი,
ეს არის ექვსი კატის უღუფა.

FS

3853

09

14. ბატი შინდის ჩუჩით.

მოიღეთ კარგათ გაბტყენილი ბატი, გამოშინეთ ღ გუ-
რეტსეთ, დასტყერით სხო-სხოთ, ჩაყარეთ თავის შესაფერს
ქვაბში, ზედ დასხით იმოდენი წყალი, რომ ერთი სე-
ლის დადება მომეტეპული ზედ ედგეს, ქაფი რომ მოხა-
დოთ, შიგ ჩაყარეთ ერთი ჯაბი ალყათ დაჭრილი ხახვი,
ხაბი შირი რომ გადმოიდუღოს, მერმე ნასევარ ჯაბი ში-
ნდის ჩუჩნა გარეტსეთ ღ იმ ბატს ჩაყარეთ, რომდხაგ
უკელა, ერთათ, სკმაოთ მოხინარძოს, ძარლით შესა-
კეთ ღ მხათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ბატი,
ნასევარ ჯაბი შინდის ჩუჩნა
ერთი ჯაბი დაჭრილი ხახვი,
ერთი ვოკსი ძარლი,
ეს არის ექვსი კატის უღუფა.



15. ბატი, ინდოურთ, გინა ქათამი ხარძოთ.

მოიღეთ ბატი, გინა სხვა ამთგანი,
სხო-სხოთ დასტყერით, გარეტეთ ღ თავის შესაფერს ქვა-
ბში ჩაყარეთ, წყალი იმოდენი დასხით, რომ სორცზედ
მეტი ედგეს, წამოდუღებაში ქაფი მოხადეთ, მასინ ჩაყა-
რეთ ერთი ჯაბი დაჭრილი ხახვი, ღ ნასევარ სტაჟანი და-
ნაყილი ბრინჯი; მასთან მოიღეთ ერთი სელის ტოლი
შინდის ტყლაპი, წვრილათ დასიეთ ღ შიგ ჩაყარეთ, თუ
შინდის ტყლაპი არ იყოს, ტყემლის ტყლაპი მიეცით,

როდესაც მოინახრშობს, ნახევარ სტაქანი დაჭრილი ქინძი
მოაყარეთ, ძარღლით შეასავეთ & მსათ იქნება.

მასალათ მიეცით

ერთი ბატი, გინა ქათამი,
გირვანქა ნახევარი ხახვი,
ნახევარ სტაქანი დაჭრილი ქინძი,
ნახევარ სტაქანი დანაყილი ბრინჯი,
ერთი ხელის ტოლი შინდის ტყვადი,
ერთი ვოკნი ძარილი.
ეს არის ექვსი კაციის ულუფა.

16 თავის წვნით ბატი, ინდოური, გინა ქათამი,

ამ ფრინველთგანი თუ რომელიმე ძრეულ მხუქანის
არის, როდესაც გაბტყუნათ & გაძომიგნოთ, კარგათ გა-
რეცხეთ, ხადეთ ისე დაუჭრელი ქვასში & ზედ იმოდენი წყალი
დასხით, რომდენიც დაჭრულაგვს, შემდეგ წამოდულებაში
ქათვი მოხადეთ & როდესაც კარგათ მოინახრშობს, ბლუ-
დზედ, ამოიღეთ. ხადი კვერცხი, მრგვლათ წყალში მო-
ხარშეთ, გულები გამომაცადეთ & იმ წვესში ჯერ ერთი
ჯამი დაჭრილი ხახვი ჩაყარეთ & კარგათ მოხარშეთ,
შემდეგ ის ხადი კვერცხი გატყხეთ, გულები გამოიღეთ,
გახსენით იმის წვესში & შიგვე ჩაუშვით; გააცხელეთ &
თუ გაქებებათ დასტყერით, წვესში ჩააწყეთ & ისე ძიარ-
თვით, თუ არა & ქათამი ისე მთლათ მიიტანეთ & წვენი
ცალკე ძარილით შეასავეთ & მსათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ბატი, ინდოური, ასუ ქათამი,
ერთი გირვანქა ხახვი,
ხადი კვერცხი,
ერთი ვოკნი ძარილი,

17 ბოზართმა ინდოურისა, ბატისა, გინა ქათამისა,



მოიღე გაბტყენილი ღ გამოშვიგნული ამ ფრინველ-
 ბთაგანი, კარგათ გარეცხილი, ჩადე თავის შესათერს ქვა-
 ბში წყალი იმოდენი დასსნი, რადენიც დაჭტარავს,
 წამოდულებსში ქათვი მოხადე ღ როდესაც მოინარშოს,
 წვენი გადასწურეთ ღ ქათამი ასო-ასოთ დასტკერით.
 ერთი ჭამი ალყათ დაჭრილი ხასვი ჩაყარეთ ტაფაში ღ
 ზედ დასსნით ერთი მომცრო სტაქანი ვრბო ღ მანამ
 ხასვი დაწითლდებოდეს, მანამ სულ სრაკეთ ღ ურიეთ
 კოვზით, როდესაც ხასვი მოინარშოს, ახლა ის დაჭრი-
 ლი ქათამი ჩაყარეთ ღ მოშუშეთ ერთათ, შეძდეგ ის გა-
 დაწურული მანვე წვენი ზედ დასსნით ღ ადუღეთ.—თუ
 მხუქანი არის, ვრბო ხავლები მიეცით, თუ გამხდარი
 არის ღ როგორც ზეითა ვჭხთქვით იმოდენივრბო მიეცით,
 შეძდეგ შესავკეთ მარლით, ზედ მოაყარეთ ხასკვარ
 სტაქანი წმინდათ დაჭრილი ქინძი ღ მწათ იქნება.

მასალათ მიეცით:

- ბატი, ანუ ინდოური, ანუ ქათამი,
- ათი თავი ხასვი,
- ერთი მომცრო სტაქანი ვრბო,
- სუთი ძირი ქინძი,
- ერთი კოვზი მარლი.

18. ხარშო ინდოურისა, გინა ქათმისა,

გაუვლეფილი ღ გამოშვიგნული ქათამი გარეცხეთ, ჩადეთ
 თავის შესათერს ქვაბში ღ ზედ როდენიც დაჭტარავს,
 წყალი დასსნით, წამოდულებსში ქათვი მოხადეთ ღ რო-
 დესაც მოინარშოს ამოიღეთ, წვენი ერთა ჭამი დაჭ-
 რილი ხასვი ჩაყარეთ ღ კარგათ მოსარშეთ, როდესაც
 ხასვი მოინარშოს, ქათამი დასტკერით ღ შიგვე ჩაწყეთ,
 თუ მხუქანი არის, ვრბო არ უნდა ღ თუ გამხდარია
 ვრბო მიეცით ერთი სტოლის კოვზი, შეძდეგ ოთხი



კვარცხა ვათქვიფეთ ღ შიგ ჩაასნით ცხელ-ცხელშიკვ, მარ-
ილით შეასაკეთ ღ მწათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ქათამი, ანუ ინდოური,
ოთხი კვარცხი,
ერთი გირვანქა სასვი,
ერთი კოვზი მარილი,

19 წუნინი ქათამი გურულათ,

მ ს უ ქ ა ნ ი ქათამი ვაბტყენილი ღ ვამოშიგნული ახლ-
ახლთ დასჭვრით ღ გარეცხეთ, ორი სტოლის კოვზი
წმინდათ დანაყილი ნიგოზი, ათი მარცვალა მისაკი,
ღ ათი მარცვალა დანაყილი შილპილი, ერთი ჩაის კოვზი
დანაყილი დარბინი, ერთი სტაქანი წმინდათ დაჭრილი
ოხრახუში, ქინძი, ქონდარი, ღ ერთ სტაქანიც დაჭრი-
ლი სასვი მწათ იქანიუ, მოიდეთ მისი შესაბეური ქოთან
ისუ ქათამი თითო შირი ჩააწვეთ ღ თან ეს დამზადე-
ბული მასალა მოაყარეთ, აგრეთვე ერთი ჩაის კოვზი
მარილი, შეძვეკ მოასნით ჩასვეარ სტაქანი ცხარი მძარი;
ზუდ დაასნით იმოდენი წყალი, რაოდენიც დაჭუჯარავს, შეძ-
დეკ შირი კარგათ დახურეთ, სული ან ამოქქრეს ღ ისუ
მოხარშეთ, ორჯერათ კი მოურჩიეთ.

მასალათ მიეცით

ქათამი,
ორი სტოლის კოვზი დანაყილი ნიგოზა,
ერთი მარცვალა მისაკი,
ათი მარცვალა შილპილი,
ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარბინი,
სუთი თავი სასვი,
ოთხი შირი ოხრახუში,
ოთხი შირი ქინძი,



ათხი ძირი ქონდარი,
ნასკვარ სტაქანი ძმარი,
ძარილი.

20. არისა ხარცისა, გინა ინდოურისა,

ინდოური, ანუ ცხვრის ხარცი გაკეთებულა და გარე-
ცხელი, დასჭერით წვრილათ.—ძნათ უნდა იქონიოს
ხარბაღი, ამ რიგათ გაკეთებული.—ხარბაღი უნდა და-
წიროთ, დაწმით და ფილში ფილთაქვით ჩაწყობათ, ისე
რომ იმ ზურვის ძარცვალს თვერთლი სულ გადასცალათ,
რომ ბრინჯივით უთვერთლო დარჩეს, გადაბერტყოდ
ხალძე და ის ხარბაღი გაქონდეთ გამსმარი შენახული თ
როდესაც არისა გუბებს ნასკვარ ლიტრა ხარცხედ
არი ჯამი ხარბაღი, ქაფს რომ ხარცს მოხდი, მაშინ
შიგ ჩაყრით, აგრეთვე ერთს ჯამს დაჭრილს ს.სესანე მა-
შინ ჩაყრით; წყალივი იმოდენი უნდა დასხნათ, რომ
ხარცი და ხარბაღი ისე უნდა ჩაიშალეს; რომ სულ
გაერთდეს, შემდეგ ძელები უნდა ამოაწიროთ, ხარცი
აღარ უნდა ხსნდეს; წყალი ცხლათ უნდა გედგეთ და
მიუძატოთ ხალძე.—არისა რომ გუბამდეთ სვალისათვის,
დღესვე უნდა დაიწყოთ ხარშვა, როდესაც კარგათ მოი-
ხარშოს და გაერთდეს წვენი აღარ უნდა ედგეს, მერმე
წმინდათ ხასვი დასჭერით ერთი ჯამი ანუ ერთი გირ-
ვანქა და ერთს სტაქანს ერბოში მოხარკეთ, როდესაც
არისას კერძებსედ დასხნამთ, იმ ერბოს და ხასვს ცოტ-
ცოტას შუაგულას ჩაახსნამთ და როგორც თაფლს,
ისე ერბოში აურეკეთ და მიირთმეკეთ.—არისას გადმოღების
დროს შუაგულათ ძარილით.

მახალათ მიეცით:

ერთი ინდოური, ანუ ნასკვარ ლიტრა ხარცი,
ათხი სტაქანი ხარბაღი, უთვერთლო,

ერთი სტაქანი ერბო,
 ერთი გირვანქა სახვი,
 ერთი სტოლის კოვზი მარლი,

21. შილაფლავი ცხვრისა, ანუ ქათმისა.

ნასკვარ ლიტრა სორცი ახო-ახოთ დასტკერით, გა-
 რქვხეთ ღ თავისავე შესაფერს ქვაბში ჩაყარეთ, წყალი
 იმოდენი დასხით, რომ ერთი ციდა მეტი ედგეს ზედა,
 წამოდუღებაში ქათუი რომ მოხადლოთ, გირვანქა ნასკვარი
 დარხეული ბრინჯი ჩაყარეთ, კარგათ გარქვნილი, აგრეთვე
 ერთი გირვანქა დაჭრილი სახვი ღ სულ ერთათ ხარშეთ
 რომ გასქედდეს მერმე შესაყვით მარლითა ღ შილზილით,
 აგრეთვე დასაყილი ზირა მათეით ღ მათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ნასკვარ ლიტრა სორცი,
 გირვანქა ნასკვარი ბრინჯი,
 ერთი გირვანქა სახვი,
 ათი მარცვალი შილზილი,
 ერთი ჩაის კოვზი ზირა,
 ერთი სტოლის კოვზი მარლი.

22. ვაურმა ღორისა, ანუ ცხვრისა.

ათხი გირვანქა სორცი, წვრილათ დასტკერით,
 მერმე თავის შესაფერს ტავაში ჩაყარეთ, ერთი სტაქანი
 წყალი დასხით ღ თან ურით ხრავკაში; როდესაც წყალი
 დაიშროს, ერთი ჯაბი ალყათ დაჭრილი სახვი ჩაყარეთ
 ღ იხე მოხრავკეთ, თუ სორცი მსუქანი არის, ერბო არ
 უნდა ღ თუ გამსდარია, ერთი კოვზი ერბო დასხით ღ
 მოხრავკეთ, რომ სულ დაწითლდეს, მერმე მარლით შესა-
 ყვით, სუთი მარცვალი დასაყილი შილზილი მოაყარეთ
 ღ მათ იქნება.



მასალათ მიეცით:

ოთხი გირვანქა ღორის ხორცი, ანუ ცხვრისა,
 ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი,
 ერთი სტოლის კოვზი ერბო,
 ხუთი მარცვალე შიღშიღი,
 ერთი კოვზი მარლი,

23. მოხრაკული ქათამი გურულათ.

ქათამი გაბტყენილი ღ გარეცხილი ახლ-ახლო
 დასჭერთ, ჩააწყეთ ქოთანში, თან ჩაატანეთ ექვსი მარცვა-
 ლი დანაყილი მისაკი, ათი მარცვალე დანაყილი შიღშიღი,
 ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარჩინი, ერთი ცერცვის
 ტოლი დანაყილი ყვითელი კოჭა, ერთი ჩაის კოვზი
 მარლი, ერთი სტოლის კოვზი დანაყილი ნიგოზი, ორი
 თავი წმინდათ დაჭრილი ხახვი, ორი ძირი ქინძი, ორი
 ძირი ოხრახუში, ნახევარ ფინჯანი ძმარი; ეს მახლას
 ხუფ ჩააწყეთ ღ ნელ ცერცლზედ დაადგით ქოთანი, ხან-
 დის-ხან მოურიეთ და პირს კარგათ დააფარეთ ხული არ
 ამოქქრეს, ისე მოხრაკეთ, წვენს თითონ გაუშვებს, რომ
 შეატყოთ ეყო, გადმოდგით.

მასალათ მიეცით:

ქათამი,
 ექვსი მარცვალე მისაკი,
 ათი მარცვალე შიღშიღი,
 ერთი ჩაის კოვზი დანაყილი დარჩინი,
 ერთი ცერცვის ტოლი ყვითელი კოჭა,
 ერთი ჩაის კოვზი მარლი,
 ერთი სტოლის კოვზი დანაყილი ნიგოზი,
 ორი თავი ხახვი,
 ორი ძირი ქინძი,
 ორი ძირი ოხრახუში,



ნასკვარ ფინჯანი ძმარი.

21. ტოლმა ცხვრისა, გინა ბატკნისა.

მოიღეთ ორი გირვანქა ხორცი, ძალიან წმინდათ დაკეპეთ, გირვანქა ნასკვარი ხასვი თან დააკეპეთ, მერმე მოაყარეთ ათი მარცვალი დანაყილი პილპილი და ნასკვარი ჩაის კოვზი დანაყილი ზირა, ერთი ჩაის კოვზი ძარილი, ერთი სტოლის კოვზი დანაყილი ბრინჯი, მერმე გათქვიფეთ ოთხი კვერცხი და სულ ერთათ აურივით; შემდეგ მოიღეთ ვაზის წვრილი და ჩვილი ფოთლეუბი, მდულარე წყალში ჩაყარეთ და მალევე ამოიღეთ და დააწყეთ რაყედმე, რომ გაცივდეს, მერმე გუფთასაგით კაკლის ტოლი ეს დამსადებელი ხორცი აიღეთ და შეასვიეთ ერთს ფოთოლში და ჩადეთ ქვაბში, ახლა კიდევ, მასამ სულ ასე დაამსადებთ, შემდეგ დაახსით, რადუნაჯ დაჭყვინტავს წყალი და ხარშეთ, რადუნაც ნახათ, რომ გუფთა მოხარშულა, მასინ წვენი სულ გადაწურეთ და ზედ დაახსით ერთი სტაქანი ერბო და ისე გაშუშეთ, არ ხამალათ კი, შემდეგ ამოიღეთ და ბლუდზედ დააღატეთ, მასინ მხათ უნდა გქონდეთ ხაფიფტკში გაწურული მარონი და იმ დროს ას მარონი ცოტას წყალში უნდა გასხნათ მოხქოთ და ზედ უნდა მოახსათ ბლუდზედ იმ გუფთასა, აგრეთვე უნდა მხათა გქონდეთ ერთი მისხალი დამალაი საფრანა გამოწურეთ და ხამბით ზედ დააწყეთოთ, იმ მარონს, მერმე ორი სტოლის კოვზი წმინდათ დანაყილი დარინინი და ოთხი სტოლის კოვზი დანაყილი შაქარი, ერთათ აურიეთ, მოაყარეთ და ისე მიართვით.

მასალათ მიეცით:

ორი გირვანქა ხორცი,
 გირვანქა ნასკვარი ხასვი,



ათი მარცვალა ზიღზიღი,
 ნახევარ ჩაის გოგუნი ზინა,
 ერთი ჩაის გოგუნი მარლი,
 ერთი სტოლის გოგუნი დანაყილი ბრინჯი,
 რთხი კვერცხი,
 ერთი სტაქანი ერბო,
 ერთი ქოთანნი ძაწონი,
 ერთი მისხალი ზაფრანა,
 რჩი სტოლის გოგუნი დანაყილი დარჩინი,
 რთხი სტოლის გოგუნი დანაყილი შაქარი,
 ვაზის ჩვილი ფოთლები საკმაოთ.

25. კომბოსტოს გუფთა.

კომბოსტოს გუფთაც ასევე უნდა გააკეთოთ, მხოლოდ მასწონი, დარჩინი, შაქარი და ზაფრანა კი არ უნდა. იმას ისევე ამ რიგათ გააკეთებთ კომბოსტოს ფოთოლში შესვევთ & ისე ერბოიანათ დაახსნამთ ბლუდზედ რაღაც მონარშავთ.

მასალათ მიეცით:

კომბოსტოს ფოთოლი საკმაოთ & ისეც ის, რა ტოლმასა, შაქარსა, დარჩინსა & ზაფრანას გარდა.

ცოვი საჭმელები ხორცეულისა.

26. ცივათ ბატკანი.

ბატკანის ხორცი ასო-ასოთ დასჭერით ვარგათ გარეცხეთ; შემდეგ აადუღეთ მარლით შესავებული წყალი & შიგ ჩაყარეთ, რომ წამოდუღდეს—ქაფი მოხადეთ & როდენსაც მონარშავა შეატყოთ ამოიღეთ ბლუდზედ; გააცივეთ & მზათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ბატენის ხორცი, რადენიც გენებოთ
მარლი მისი სამყოფი,

27. ხბოც ასევე უნდა მოიხარშოს.

28. გოჭიც ასევე უნდა. თან დაფხეკილი ხრე-
ნი მიართვით და ძმარიც, ვისაც ენებება.

29. თიკანიც ასე მოხარშეთ და როდესაც ამოი-
ლოთ წმინდათ დაჭრილი ქინძი მოაყარეთ.

30. ხაშლამა ძროხისა, როცა ასევე მოხარ-
შავთ, ნუ გააცივებთ, ცხლათ მიართვით,

31. ღორის ხორცი ასევე უნდა მოიხარშოთ; მი-
ტანის დროს თან მიართვით მძალე და ძმარი,
ანუ გარციცა, რომელიც გენებებოდეთ.

32. ძროხის ბეჭი ცივათ.

ძროხის ბეჭი გარეცხეთ საკნატულა ან მოხჭრათ,
თავის შესაფერს ქვებში მარლით შესავებული წყალი
აადუღეთ და ბეჭი ისე ჩადეთ, ქათვს რომ მოხდით, შემ-
დგომ მალ-მალე ნახეთ, რომ მოიხარშოს, არც უმი იყოს
და არც სხვა ხორცივით ძალიან მოხარშული, მაშინ სუფ-
რავდ ცხლათ მიიტანეთ. ბეჭს უნდა შეუმზადოთ ტყემ-
ლის საწებელი ამ რიგათ: ახალ ტყემალს დაასხით წყა-
ლი, რადენიც დაჭყარავს და მოხარშეთ, მეტმე ბა-
დაიხზე დაასხით რომ გაცივდეს, წყალი თუ ბეჭი ედგოს
გადუწურეთ და საკმაოთ წყალში გამოტყეფილეთ, ჩენხო-
ბი და გურგა ამოარჩიეთ და ის ტყემლის წვენი მოსჭოთ
უნდა იყოს, მეტმე წმინდათ ერთი თავი ხახვი დაატყერით,
ხკრეთვე ერთი ფოჩი ცხრახუში, მარლი ჩაყარეთ, ერთი
ჩაის კოვზი და როდესაც ბეჭი მიართვათ, ეს საწებიც
თან მიადვენეთ, ვისაც ნებავს გარციცის ძვივრათ მიიწო-
მევს და თუ სამთარი არის, მაშინ, რადგან ახალი ტყემ-
ალი ან იქნება, სამთრისათვის საწებათ უნდა შეუხანოთ

როგორც მასალების შენახვაში დამიწერია ღ თუ ხაწებო
არა გქონდეთ ტყემლის ტყლავი მოხარშეთ ამ რიგათ ღ
ინ შეაზავეთ ისევე ისე ღ თუ ძალიან მუკვეთ გნებაკდეთ
ძმარცხ დაუმატეთ ტყლავის ამოჭყლეტაში.

მასალათ მიეცით:

ერთი მთელი ბეჭი,
ერთი თავი ხასვი,
ტყემალი, ანუ ტყლავი,
ძარღვი,

33. ქათამი, ანუ ინდაური ხასვ-წყალთ.

ქათამი, გინა ინდაური კარგათ გავტყენილი ღ გა-
მოშიგნული გარეცხეთ ღ ჩადეთ თავის შესაფერხ ქვასში,
წამოდულებასში ქათვი მოხადეთ ღ როდესაც მოიხარშობ,
ამოიღეთ, დასტყერით ღ ერთი მათლახა წვენი მოხწენი-
კეთ, იმაში წმინდათ დაჭრილი ხასვი ჩაყარეთ ღ ზედ
დაახსით ქათამს, ანუ ცალკე მიადევნეთ ქათამსა.

34. ბატი ცივათ.

ბატი ისევე ისე უნდა მოხარშეთ, როგორც ქათამი
ღ ზედ დაახსით მუკვე ბროწეული გამოწეული.

მასალათ მიეცით:

ბატი,
ერთი მუკვე ბროწეული,
ძარღვი,

35. ქათამი გატენილი ქიშმიშითა ღ ზირიშკით.

კარგი მსუქანი დედალი მოხარშეთ ძარღვ წყალში,
მერმე ხასევარ გირვანქა ზირიშკი ღ ერთი გირვანქა
ქიშმიში, დაარჩიკეთ, გარეცხეთ ჩაყარეთ ქვასში ღ დაახ-
სით ხასევარ გირვანქა ერბო ღ იმ ერბოში მოშუშეთ



შეკმე დაახსნით კარგი თაფლი ღ თუ კარგი თაფლი არ იყოს, ერთი სტაქანი დაფქული შაქარი, როდესაც კარგათ მოიშუშოს, იმ ქიშიშითა და ზიჩიშკით გაუტყნეთ მუცელი მოხარშულს ქათამსა და თუნდა დასტყვით ის ქათამი და ეს მასალა სეღ მოაყარეთ.

მასალათ მიეცით:

მხუქანი ქათამი,
ნახევარ გირვანქა ზიჩიშკი,
ერთი გირვანქა ქიშიში
ნახევარი გირვანქა ერბო,
ნახევარი გირვანქა თაფლი, ანუ ერთი სტაქანი
დაფქული შაქარი,
მარილი,

შემწვრები.

36. ხბო შემწვარი.

კარგათ გამოშიგნული ხბო კარცხეთ ღ გულვიძლი წმინდათ დაუკაპეთ, შიგგე მუცელში ჩაუდეთ ღ გაუკერეთ მუცელი, ისე ააკეთე შამფურზედ ღ ნელს ნაკერხნაღზედ თან დაატრიალეთ ღ თან მარილ-წყალი წაუსვით, ხუფ ტრიალით შეწვით, რამ წკენი არ დაეღვაროს ღ თუ გამხდარი არის, ფრთით ერბო წაუსვით შეწავსია მარილ წყალი რამ დაუთართ შეძებ.

მასალათ მიეცით:

ხბო, გულვიძლით,
არჩი სტოლის გოკზი ერბო,
მარილი,

37. ბატანიც ამ რიგათვე უნდა შეწოთ.

38. ღორის ბარკალი, ანუ ცხერისა, ამრიგათვე უნდა შეიწოს მარილ წყლით.

39. ხოხობი, ინდოური, ქათამი, ანუ იხვი შემ-
წვარი და ჩახოხობილი,

ხოხობი გაბტყენილი ღ გამოშვიგნული კარგათ გა-
რეცხეთ, ავკეთ შამფურზედ ღ ნაკეკრჩხალზედ ატრიალეთ
შამფურით ღ თან ფრთით ძარილ წყალი წაუსვით, როდესაც
ძარილი საკმათ წაუსათ, შემდეგ ფრთით გაძნარი
ერბო წაუსვით, მანამ კარგათ დაწითლდეს; მერმე ხამი
გირვანქა ხასვი, ანუ ორი ჯამი ალყათ დაჭრილი ხასვი,
ჩაყარეთ ტაფაში, ხასკვარ გირვანქა ერბო დახსნით და
ერთი ჩაის კოვზი ძარილი ჩაყარეთ, ისე მოხრაკეთ მანამ
ხასვი დაწითლდეს, შემდეგ ზედ დახსნით ორი სტაქანი
წყალი, რომ წამოდუღდეს, ის ხოხობი ასო-ასოთ დახ-
ჭვრით და იმ ხასვში ჩააწყეთ, თუ გენებებთ მყავით,
ზედ დახსნით ხასკვარი სტაქანი ნამარაბი, ანუ კოვასუ-
რი, ან ძმარი და მხათ იქნება.

მასალათ მიეცით:

ხოხობი, ანუ ამ ფრინველთაგანი ერთ-ერთი,
ხამი გირვანქა ხასვი,
ხასკვარ გირვანქა ერბო, ანუ სტაქან ხასკვარი,
ხასკვარ სტაქანი ნამარაბი, ანუ იხრიმი, ან ძმარი.
ერთი სკოლის კოვზი ძარილი.

40. კურდღელიც ამ რიგათ უნდა შეიწოას და ჩაიხობ-
ბოს, შეწვაში წკებლა კი უნდა დაჰკრათ ხოლმე.

41. ბატი ანუ იხვი შემწვარი შინდის ჩურჩით.

ბატი, ან იხვი შეწვით, როგორც ზემოთ ჰსწერია,
სხვა შემწვრები და შემდეგ ერთი ჯამი შინდის ჩურჩა
კარგათ გარეცხილი ჩაყარეთ ცხელს წყალში, რომ დაღ-
ბეს, მანამდის თქვენ მოხრაკეთ ერთი ჯამი დაჭრილი
ხასვი ერთ სტაქან ერბოში, როდესაც ხასვი ჩაითუთქოს
შემდეგ ის ჩურჩაც შიგ ჩაყარეთ და კარგათ მოშუშეთ,

მერმე დაახსნით ერთი სტაქანი წყალი, როდესაც წამო-
დგულდეს, შემდეგ დასჭერით ის ბატი, ახლა-ახლათ და ეს
მოხრანკული ჩურჩხა ზედ მოაყარეთ, ანუ ბატიც იმ ჩურ-
ჩხაში შივ ჩადეთ.

მასალათ მიეცით:

- ბატი, ანუ ისვი,
- ერთი სტაქანი ერბო,
- ორი გირვანქა სახვი,
- ერთი ჯამი შვინდის ჩურჩხა,
- ერთი სტოლის კოკში მარლი.

42. შემწვარი კურდღელი, ჩაჩიხირთმავებულო.

კურდღელი გატყავებული და გამომიგნული გარეცხეთ და
აბეთ მამფურზედ, დაუდეთ ნაკვერჩხალზედ, ატრიალო,
შამფურით და წაუსვით მარლი წყალი, თან წიკვლით დაჭ-
კარით, მანამდის შეიწოდეს; მარლიწყალი რომ აღარ
იყოს საჭიროთ, შემდეგ ფრთით ერბო წაუსვით მანამ
დაწითლდეს. წიკვლით იმისთვის უხდა სტემოთ რომ გა-
ფუკდება, შემდეგ გუნებებათ ჩახლხლავთ და გუნებება ამ
რიგათ ჩაჩიხირთმავებთ: ექვნი კვერცხი გათქვიფეთ, ზედ
დაახსნით სამი სტაქანი ძმარი და ერთი სტაქანი წყალი,
დასჭერით სამი თავი სახვი და ძმარში ჩაყარეთ თან
კოკში მოურიგეთ და თან აადუდეთ. რომ კვერცხი არ
აიჭრას, მერმე დაჭრილ კურდღელს ზეთ მოახსნით; თუ
გუნებებათ ორ სამ დღეს შეინახება ამ ძმარში.

მასალათ მიეცით:

- კურდღელი.
- ექვნი კვერცხი,
- ორი სტოლის კოკში ერბო,
- სამი თავი სახვი,

სამი სტაქანი ძმარი,
ერთი სტოლის კოვზი ძარილი.

43. ინდოური, ბატი და ქათამი საცივეთ,
როგორც ზემოთა ჭსწერია ინდოურის შეწვა, ისე შექსწო-
მთ, ძმარსა და კვარცხში, როგორც კურდღელს ისე ჩა-
ხინირთმავებთ, ჩაწყობთ და ერთს კვირამდის ივარკვებს
ისე შენახული რომ გამოიზოგოთ.

მასალათ მიეცი.

ინდოური, ანუ სხვა რამ ფრინველთაგანი,
სამი სტაქანი ძმარი,

ექვსი კვარცხი,
სამი თავი ხახვი,
ერთი სტოლის კოვზი ერბო,
ძარილი.

44. ვარების ტაბაკა, ანუ მტრედისა,

ვარია რომ გაუვლიყოთ და გამოშიგნოთ, გარეცხეთ და
გააპეთ მკერდიდამ შუა, ერთმანერთ კი არ მოაშროთ;
იმას მოაყარეთ ძარილი, ორი სტოლის კოვზი ერბო გა-
ცხელეთ ტაფაში, ჩადეთ შიგ ვარია და ზედ დაადეთ
თხელი ხუფთა ქვა, ანუ თიხის ღამბაქი, ცალი მხარე
რომ მოხრავთ, გადახარუნეთ მერყეს მხარეს და მხათ
იქნება.

მასალათ მიეცი.

ვარია. გინა მტრედი,
ორი სტოლის კოვზი ერბო,
ძარილი,

45. მწერების შეწვა.

მწერები წმინდათ გაბტუვენით, გამოშიგნეთ და ააგეთ
შამფურზედ, მოაყარეთ ძარილი და ცხელთან გააფრინეთ,



როდესაც გაცხელდეს, წმინდა ფქვილი მოაყარეთ და თან წუნარ-წუნარა :ტრიალეთ და აყარეთ ფქვილი, მანამ მწუკრი ფქვილში სულ ამოიგინგლება; რომ შეწითლდეს— ეყოფა შეწვა.

მასალათ მიეცით:

მწურები.

ფქვილი და მარილი.

46. მტრედის გუნდიც ამ გვართ უნდა შეწოთ როგორც მწურები.

47. ცხერის გულღვიძლი დაკეპილი და მოხრაკული.

მოიღე ცხერის გულღვიძლი და ფილტვი, გარეცხეთ, წმინდათ დაკეპეთ, ჭ თან შეაკეპეთ ორი გირვანქა სახვი, ათი მარცვალნი დანაყილი პილპილი ჭ ერთი კაკონი მარილიც მოაყარეთ, შეძვეგ შეიდი კვერცხი გათქვიფეთ ჭ ის დაკეპილი გულ-ღვიძლი შიგ კარგათ აურივეთ, მერმე გაცხელეთ ტაფით სახვეარი გირვანქა ერბო ჭ ის დაკეპილი გულღვიძლი შიგ ჩაახსით ჭ მოწვით; ცალი მხარე რომ მოიწონს, მეორეს მხარესაც გადააბრუნეთ ჭ ისე მოწვით.

მასალათ მიეცით;

ცხერის გულღვიძლი ჭ ფილტვი.

ორი გირვანქა სახვი,

ათი მარცვალნი პილპილი

შეიდი კვერცხი,

სახვეარი გირვანქა ერბო,

ცოტა მარილი.

48. აფხაზური

მოიღეთ ცხერის ჩალაღაჯი ანუ ბატენისა, მერმე დახტკრით ხივქსუდ, თითო გვერდი, სომიერ ნაჭრათ, ბოლოს მხრიდან ჩახვლიპეთ სორცი, ისე, რომ არ მოა-

შორით გი იმ ძვალსა, დაკეპეთ ღ ყველს ასე დაამზადეთ, მკრძე ერთი გირვანქა სორცი ცალკე დაუკეპეთ ღ იმას ერთი გირვანქა სასვიც თან შეკეპეთ, მარილი ღ ჰილზილი მოაყარეთ, შემდეგ სამს გათქვიფილს გვერცხში აურიეთ ღ ცოტას აიღებდეთ ღ იმ გვერდსზედ შემოასვედეთ ღ წმინდათ დანაყილს სუხარს მოაყრიდეთ, მანამ სულ თითო-თითოთ ასე დაამზადებთ, შემდეგ ორს სტოლის გოვზს ერბოს გაცხელებთ, ტაფაში ჩააყობთ ღ მოსწომთ ორსავე გვერდსზედ.

მასალათ მიეცით:

ცხვრის ჩაღაღავი ორი გირვანქა,
 ერთი გირვანქა რბილი სორცი,
 ერთი გირვანქა სასვი,
 ათი მარცვალე ჰილზილი,
 სამი გვერცხი,
 ოთხი სუხარი,
 სასველარი სტაქანი ერბო,
 ერთი სტოლის გოვზი მარილი,
 ეს არის ექვსი კანის უღუფა.

49 ქაბაბი.

მოიღეთ ორი გირვანქა რბილი სორცი, წმინდათ დაკეპეთ ღ ერთი ჯაბი დაჭრილი სასვი თან შეკეპეთ, თუ ძვალთ ცხებათ, ერთი სტაქანი ჩურჩხა გარეცხეთ ღ დაკეპნაშივე აურიეთ, ათი მარცვალე დანაყილი ჰილზილი ღ ერთი ჩაის გოვზი მარცვლი ზედ მოაყარეთ, შემდეგ სამი გვერცხი გათქვიფეთ ღ როდესაც წმინდათ დაკეპთ, შიგ აურიეთ, ერთი სუხარი დანაყეთ და აურიეთ, შემდეგ აიღეთ მატარ-მატარ დაკეპილი სორცი დანით ღ გაათხელოთ, მოაყარეთ გარედამ წმინდათ დანაყილი სუხარი ღ როდესაც სულ ასე დაამზადეთ, დაახვით ტაფა-



ზედ ორი სტოლის კოკნი ერბო, გაცხელებთ ჭ ჩაწეეთ
 ქაბაბი შიგა, ცალი მხარე რომ მოიწოს, მუცრეს მხარეს
 გადააბრუნეთ, მანამ სულ ასე დაამზადებთ, შემდეგ ერბო
 გადაწურეთ, ისე რომ ნახარკი არ შექუეკს, ორი სტაქანი
 წყალი დასხვით, აადულებთ ჭ ის მოძვედარი ქაბაბი შიგვე
 ჩაწეეთ, გაცხელებთ და ისე მიართვით.

მასალათ მიეცით:

ორი გირვანქა ხორცი,
 ერთი ჯამი დაჭრილი ხახვი,
 ერთი სტაქანი ჩურჩხა,
 ათი მარცვალე პილპილი,
 ერთი კოკნი მარილი,
 სამი კვერცხი,
 ერთი ჩეთვერთი ერბო,
 სამი სუნარი.

(ამ მასალათ გაკეთდება თსუთიეტი ქაბაბი).

50. ლულა ქაბაბი.

როგორც ქაბაბისათვის, ასევე უნდა მოამზადოთ
 წმინდათ დაკეპილი ჭ შესაკებელი ხორცი, შემდეგ შამ-
 ფური გაცხელებთ, აიღოთ ძუჭაში ხორცი ჭ შამფურს
 როგორც მწვადი, ისე შემოასვიოთ ჭ შესწოთ.

მწვადების შეწვა.

51 სუკი ძროხისა, ანუ რისაც გენებოთ.

სუკი შამფურსკად გრძლათ უნდა ააგოთ, ზედ მო-
 ყარეთ ერთი ჩაის კოკნი მარილი, სუკის სიდიდეს გააჩნია
 ამრიგის მორჩა, შემდეგ სულს ნაკვერხსაღსუდ ისე
 ტრიალით უნდა შეწოთ, რომ წვენი არ დაეღვაროს, მ-
 ლიან კი არ დაწოთ მცურნიანი უნდა მიართოთ.

52. ღორის მწვაღები.

როგორც სუკი, ასევე უნდა შეწოთ: გულღვიძლი გენებოთ, თუ გვერდები ჭ ერთი სტაქანი ალუათ დაჭრისა და სხვი მოაყარეთ, როდესაც დასჭრით.

53 ქართული ბადრიჯნით მწვაღი.

მოიღეთ ქართული ბადრიჯანი, დანით ისე გააშეთ მთელი, რომ ერთმანერტხს არ მოაშორეთ, იმას მოუშინადეთ ცხვირის მსუქანი ხორცი, ანუ თხის ხორცი, იმ ტოლათ დასჭერით, რომ იმ განზობილს ბადრიჯანში ჩადეთ ჭ თან მოაყარეთ მარლი და შილშილი ანკული, თანვე შამიურსედ ააგეთ რამდენიც გენებოთ, შემდეგ სელს ნაკვერჩხაღსედ სულ ტრიალით შეწვიოთ ჭ მთელ-მთელი წამრეთ და ისე მიართვიოთ.—გენებებათ ჭ ბადრიჯანი მრგვლათ დასჭერით, ერთი ბადრიჯანი სამათ ჭ ისე ააგეთ, ერთი ხორცი, ერთი ბადრიჯანი, მანამ შამიურს სულ ასე გაამსებდეთ, მერმე მოაყარეთ მარლი ჭ შილშილი ერთათ ანკული ჭ ისე შეწვიოთ,

54. მწვაღი ჩახოსბილი.

რისაც გენებოთ მწვაღი ჩახოსბილი, შემდეგ შეწვიას, როგორც ხოსოს, ერბოში სახვი მოუხრაკეთ ჭ ორი სტაქანი წყალი დაახსით, ამასაც ისე უნდა, როდესაც წამოდუღდეს, მწვაღი შიგ ჩახკერით ჭ თუ გენებოთ მყავეც დაახსით.

მასალათ მიეცით:

- გირვანქა ხორცი,
- ხამი თავი სახვი,
- ერთი სტოლის ვოკში ერბო,
- სახკვარ ოინჯანი მძარი,



მარლი,

55. ბასტურმა ირმისა, მშელოსა, გინა ძროხისა
და სხვისა.

ხორცი ძრავლათ, შატარ-შატარათ დასჭერით ზედ
მოაყარეთ მარლი და შიღშილი, თავის შესაკეპებით აგრე-
თვე მოაყარეთ წმინდათ დაჭრილი ხახვი, კარგათ აურიეთ
ერთმანერთში და ჩადეთ ბადიაში, ანუ ქილაში, რომდესაც
გენებოთ ააგეთ შამფურზედ და შეწვით. შეუწვავი ხორ-
ცი ასე მომზადებული ხაში დღეც განძლებს: მასწლას მი-
ცემას გაახნია, ხორცის სიბეკრესა და სიცოტავებსა.

56. ქულამაც, როგორც ზემოთა სწორია ბასტურმა
ასე უნდა დაამზადოთ, მხოლოდ მომეტებული აქვს ძმა-
რი, ქილაში ჩაზღებთ, ზედ ძმარს დაასხამთ, რომდესაც
გენებებთ ამოიღებთ და შესწორით.—ერთი კვირა განძ-
ლებს სამთარში, ასე შენახული ხორცი.

სსუბ და სსუბ მწვანეულობა,

57. ახალი ღობიო ერბო კვერცხით, გინა ნიგვზით.

მოიღე ახალი ღობიო, რძი გირვანქა, თავისა და
ბოლოს კვერტიანათ ვწვავი გაშრეთ, ღობიო ხაშთ,
ან ოთხათ გატეხეთ ასე დაარჩივით, შემდეგ გარეცხეთ
ცივს წყალში და ჩაყარეთ თავის შესაფერს ქვაბში, ზედ
დაახსით იმოდენი წყალი, რაც ღობიოს დაჭუთარავს, რომ-
დესაც წამოდუღდეს ხაში თავი ხახვი დასჭერით და ჩა-
ყარეთ, აგრეთვე რძი ძირი რეჭანი, რძი ძირა ქონდა-
რი და რძი ძირი კაძა, ანუ ქინძი დაახსიეთ ერთათ და
შიგ ჩახდეთ, რომდესაც ღობიოს მოხარშავს შეატყოთ,
ქაფქირით ჩატკეპეთ და ის მწვანელი ამოარჩივით და გა-
დაყარეთ მერმე ზედ დაახსით ნახევარ გირვანქა ერბო და
კარგათ დაშუშეთ, შემდეგ მარლით შესყლეთ და თუ
გენებებთ იმ დროს შიგ ჩატანეთ, მოხარშული მსუქანი

ძრახის სორცი, ანუ მოტახაკებული ვარია დასტერით ჭ
 ხააწყეთ, შემდეგ ამასა გასთქვიფეთ ოთხი კვერცხი ჭ იმ
 ლობიოს ზედ მოასხით, მაგრამ აღარ მოუერიოთ ისე
 უნდა მოიწიოს ჭ მზათ იქნება.

მასალათ მიეცით.

ორი გირვანქა ახალი ლობიო,
 ნახევარ გირვანქა ერბო,
 ნახევარ გირვანქა მოხარშული სორცი, ანუ ვარი

სამი თავი ხახვი,
 ორი ძირი რეკანი,
 ორი ძირი ქონდარი,
 ორი ძირი კამა ჭ ქინძი,
 ოთხი კვერცხი.

ეს არის ექვსი კაციის ულუფა.
 (მარხვაში ლობიოს ისეკ ასე მოხარშავთ ჭ ერბოს მა-
 გივრათ ერთს სტოლას კოვსს დანაყილს ნიგოზს მის-
 ცემთ).

58. ახალი ლობიოს ბორანი.

ახალი ლობიო ისეკ ასე უნდა მოხარშოთ, როგორც ზე-
 მთ დაგვიწერია ჭ როდესაც ერბოში დაშუშავთ, შე-
 მდეგ ვარიის ტახაკას მოაწომთ ჭ აგრეთვე დაუმზადებთ
 გაწურულს მაწონს, მეტე დაახსამთ ბლუდზედ, ლობიოს
 ზედ მოაწოებთ დაჭრილს ვარიის ტახაკას, მეორეთ
 კიდევ დაახსამთ ლობიოს, რომ დაჭთვაროს ვარიები ჭ
 ზ მოდგან მოახსამთ გაწურულს მაწონს ცოტას წყალში
 სქლათ გათქვიფილს ჭ მეტე მოაყრით ორს სტოლას კო-
 ვსს დარიჩინს წმინდათ დანაყილს, ოთხ სტოლას კო-
 ვსს დანაყილ შაქარში არეულსა ჭ მამინ მზათ უნდა
 გქონდეთ ნახევარ მისხალი დამხალი საფრანა ჭ ბახბით
 უნდა ზედ დააწკოთოთ.

მასალათ მიეცით:

სამი გირვანქა ახალი ლობიო,
 სამი ჩეთუერთი ერბო, ანუ სტაქან ნახეკარი,
 სამი თავი ხახვი, თუ დიდრონი აჩის,
 ორი ძირი ქინძი,
 ორი ძირი კამა,
 ორი ძირი ქონდარი,
 ორი ძირი რეჰანი,
 ერთი ქოთანსი მაწონი,
 ხახეკარ მისხალი ზაფრანა,
 ორი სტოლის კოვსი დანაყილი დარჩინი,
 ოთხი კოვსი დანაყილი შაქარი,
 მარილი,

ერთი ვარია, თუ მოდიდო აჩის,
 ეს აჩის ექვსი კაციის ულუფა.

59, ისპანახის ბორანი

ისპანახი დარჩივით, ძირები დანატყვით და კარგათ გარე-
 ცხეთ, ადუღეთ თავის შესაფერი ქვებით წყალი და ის
 ისპანახი შიგ ჩაყარეთ და მოხარშეთ, ისე როგორც მხა-
 ლი, მერძე ქაფქირით ამოიღეთ ტახაკსედ, გააცივეთ და
 მუჭით გასწორეთ მაგრა, შემდეგ წმინდათ დაკეპეთ ახ-
 ტამით და ზედ დანატყვ წმინდათ მწვანელი, მარილით შე-
 აზავეთ, მერძე წმინდათ დანატყვით ერთი გირვანქა ხახ-
 ვი და მოხარკეთ ერთს სტაქანს ერბოში, შემდეგ შიგ
 ჩადეთ ის ისპანახი და კარგათ მოშუშეთ იმ ერბოში,
 მერძე გათქვიფეთ სუთი კვერცხი ზედ მოასხით და აუ-
 რიეთ, შემდეგ ვარიის ტახაკა დანატყვით და ბლუფსედ
 ისპანახი დადეთ, მერძე ვარიები მოაწყეთ, შემოდან კი-
 დეკ დაახსით ისპანახი, რომ ვარიები დაჭყაროს, შემდეგ
 გაწურული მაწონი მოსქეთ წყალში გახსენით და მოასხით,

შემოდან მოაყარეთ დარბინი და შაქარი ერთად არეული
 ისე მიართვიეთ.—ზოგი ბორანს, კვერცხს არცეი უზამს.
 რადესაც ბორანი არაგუბავსთ და ისპანახს კვერცხით
 რამ შეახელებთ ისე მიართვიეთ. და თუ მარხვა არის შე-
 თით მოხრავთ. ერბოს მაგიერ მძინკი მწვანეა და
 შეთის მეტს არას მისცემთ, ბორანსვი ამ მასალას მი-
 სცემთ..

მასალათ მიეცით..

ერთი მომცრო კალათა ისპანახი, თუ დიდი კალა-
 თით იქნება და მასალა მეტი მოუნდება.

ორი ძირი რქვანი,
 ორი ძირი ქინძი,
 ორი ძირი ქონდარი,
 ერთი გოკვი ძარილი
 ერთი გირვანქა ხახვი,
 ხახვარ გირვანქა ერბო.

ხუთი კვერცხი,
 ერთი გოჭობი ძაწონი,
 ერთი ვარია,

ორი სტოლის გოკვი დანაყილი დარბინი,
 ოთხი სტოლის გოკვი დანაყილი შაქარი,

ეს არის ექვსი კაცი ულუფა.

60. ნაცარ-ქათამას მხალიც ასე უნდა.

61. თით-მავალას მხალიც ასე უნდა.

62. ბოლოკას მხალიც ასე უნდა. ერთის სიტ-
 ყვით მხალი ყოველივე ამ რიგათ უნდა
 გააკეთოთ, ხსნილში ერბო-კვერცხით, და მარ-
 ხვაში ზეთით.

63. ქართული ბადრიჯნის ბორანი.

მოდეთ ორმოცი გრძელი ბადრიჯანი და სიგრძე-



ზედ გაფრცქვენიო, დათაღეთ სიგრძესედეკ თსლათ, რა-
 დესაც სუფ დათაღეთ ძაყარეთ ძარლი, რაი სტოლის
 კოკსი ჭ დადგით ისე სუთს მინუტს, შედეკ მუჭით
 ძაგრათ გაწურეთ, რამ წყალი აღარ შექყევს, მერძე დას-
 ტურით ალყათ ერთი ჯამი ხასვი ჭ ხაყარეთ ტაფაში
 რაიკე ერთათ, ზედ დასსით ერთი სტაქანი ერბო ჭ
 ძონსრკეთ, ძალ-ძალ კი ძოურით, რამ შეატყეთ, რამ
 ერბო შეიძრო ჭ კიდევ ძონსრკვა აკლია ბადრიჯანსა,
 ერთი სტაქანი ერბო კიდევ მიუძატეთ, რადესაც კარგათ
 ძონსრკოს გადძოიღეთ ჭ წმინდათ დაჭრილი პიტსა,
 ქინძი ჭ რეჭანი, ერთი სტაქანი ზედ ძოყარეთ ჭ აუ-
 რეთ რაც მუტი ერბო ზედ ედგეს, ის ცალკე გადაწუ-
 რეთ ჭ ის ბადრიჯანი დასსით ბლუდზედ, მერძე ძოაწყეთ
 ვარის ტაბაკა ასო-ასოთ დაჭრილი, ზედ კიდევ ბადრი-
 ჯანი დასსით, რამ ის ვარია დაჭყაროს შედეკ ძოას-
 სით გაწურული ძაწონი გათქვეთილი ძოსქეთ, მერძე
 ძოყარეთ რაი სტოლის კოკსი დასაყილი დარჩინი,
 არეული რთსს სტოლის კოკსს დაფქულს შაქარში:
 აგრეთვე ნასკვარი მისსაღი წათრანა ძსათა გქონდეთ
 დაძბალი ჭ ძაშინ ბამბით დაწვეთეთ რაგორც ასაღი
 ლობიოს ბარანს ჭ ასე ძიართვით.

მასალათ მიეცით:

- არმორცი ქართული ბადრიჯანი,
- ერთი ჯამი დაჭრილი ხასვი,
- ერთი ვარია, თუ დიდი არის ჭ ძომცრო კი რაი,
- ერთი კოჭობი ძაწონი,
- ერთი გირვანქა ერბო,
- რაი სტოლის კოკსი დარჩინი,
- რთსი სტოლის კოკსი დასაყილი შაქარი,
- რაი კოკსი ძარლი.

64. ქართული ბადრიჯანი. ყოველთვის ასე უნდა

მდინარეებს, რომლებსაც შეძლოთ ბორნისთვის წყლისა და
ისეც მიართმევთ ვინაც მასწინათ არ უნდა.— აგრეთვე
მარხვასში მდინარეებს, ერბოს მაგივრათ შეთში და თუ
გსურთ მკავესაც დაასხამთ რასმე შეთიანს.

მარხვაში მასალათ მიეცით:

ორმოცა ბადრიჯანი,
სტაქან-სასეკარი შეთი,
სასეკარი გონა ზიტა,
ქინძი და რეჭანი ოთხი ძირი,
მარხვი ორი გოვნი.

65. კომპის ტოლმა.

თუ დიდი კომპი არის რვა კომპი და თუ წვრილი
კომპია თორმეტი, დასტერით მრგვლათ, ნაჭერ-ნაჭერ,
გული ვი ამოაცალეთ და ჩაუარეთ ტაფაში, შედ დაახსით
ერთი სტაქანი წყალი და ორი სტაქანი ერბო და მოშუ-
შეთ, რომდესაც წვენი სულ დაიშრებს, ერთი გირვანქა
დარჩეული და გარეცხილი ქიშმიში, სასეკარი გირვანქა
დაფრქვენილი ნუში შიგ ჩაუარეთ და შედ დაახსით ერთი
გირვანქა კარგი თაფლი, ანუ ორი სტაქანი დანაყილი
შაქარი და მოშუშეთ, მანამ კარგათ დაწითლდეს, ერთი
ჩაის გოვნი მარხვიც მიეცით, მერმე ბლუდსედა დაახსით,
გაცივებთ და ისე მიართვით.

მასალათ მიეცით:

რვა დიდი კომპი და წვრილი ვი თორმეტი,
ოთხი სტაქანი ერბო,
ერთი გირვანქა თაფლი, ანუ ორი სტაქანი შაქარი,
ერთი გირვანქა ქიშმიში,
სასეკარი გირვანქა ნუში,
ერთი ჩაის გოვნი მარხვი.

ფლავის გაკეთება სსვა ზ სსვა რიკათ.

66. ფლავი ყაურმით.

სამი გირვანქა ბრინჯი კარგათ დაარჩივით და გა-
 რეცხეთ, მანამ სულ წმინდა წყალზედ დადგეს, შემდეგ
 შემოდგით იმოტოლას ქვაბით წყალი, რომ ის ბრინჯი
 შიგ სალვათათ მოინარშოს, ჯერ წყალი აადუღეთ, ნატე-
 ხი მარლი ჩადეთ ზ მარლ-წყალი კილოთ შეაზაკეთ,
 მერმე გემოთ გასინჯეთ, უფრო ძლახეთ უნდა იყოს ის
 წყალი.— შემდეგ ის გარეცხილი ბრინჯი შიგ ჩაყარეთ
 ზ როდესაც სამი ზიჩი წამოიდუღოს, ქაფქიროთ ბრინჯი
 ამოიღეთ ზ სკლით გასრისეთ, მოხარშული, ისე უნდა
 იყოს ბრინჯის მარცვლი, რომ გულში შიგნით კიდევ
 წიწილი ჰქონდეს ზ არ იყოს ძალიან მოხარშული, რე-
 დესაც ასე უომიერობა შეატოეთ, გადმოიღეთ ზ ერთიან
 თუშფალანგში მოაზიჩქვავეთ ზ ზედ სხვას ვისმე თან ცი-
 ვი წყალი დასხმეკინეთ, რომ გაცივდეს; შემდეგ, ნასე-
 ვარი გირვანქა ერბო იმავე ფლავის ქვაბში ჩადეთ და გა-
 ცხელეთ, მერმე გათქვიფეთ ოთხი, ან სუთი კვერცხი და
 აიღეთ იმ ბრინჯიდან, რასაც ის კვერცხი დასველებს,
 იმოდენი, აურიეთ და შემდეგ იმ ქვაბის ძირს მოასწით
 თსლათ ზ ის გაწურული ბრინჯი დააყარეთ ზეიდგან ზ
 მოაგრრეთ შუა გულას ფონფლეთ, თავი აუკოკოლავეთ
 ზ შემოდგით ზედადგარზედ, ცარიელი ნაკვერჩხალიდა
 უნდა ეკეთოს ქვეშ, რომ ცხარე ცუცხლმა ყაზანდები არ
 დასწოს, ქვაბს ზედ იმოდენი სინი დააფარეთ, რომ
 რამტოლიც ქვაბის ნაშიჩი არის სინიც იქამდის ედგეს,
 მერმე დასველეთ ტილო ცივს წყალში გაწურეთ ცოტათ
 ზ ქვაბსა ზ სინს ნაშიჩს შემოასვიეთ, რომ ორთქლი გა-
 რეთ არ გამოუმოს ზ დამი მოუვიდეს ფლავსა; სუთს
 მინუტს დაცალეთ ზ შემდეგ ახადეთ სინი ზ ორთქლი
 გადმოწურეთ, ახლა კიდევ სელმეორეთ ისევე ისე შემოა-

სვიკეთ ტილო, დაცალეთ ხუთს მინუტს და ორთქლი კიდევ გადმოწურეთ სინიდან; მრავალჯერ ასე მოხდით და მს, მანამ შეატყოთ, რომ ბრინჯის მარცვალი გაფუკდა და მოვიდა დამძი. მერმე ნახევარი სტაქსანი ერბო კიდევ დაასხით ზედ, რომ ძირი არ დაწოს.

ყაურმა ასე დაუმზადეთ ფლავი: ამ ბრინჯისათვის, ერთი გირვანქა ცხვრისა, გინა ბატენის ხორცი, წვრილათ დასტკრით და ჩაყარეთ ტაფაში, ზედ სპი სტოლის კოვზი ერბო დაასხით და ერთი გირვანქა ალყათ დაჭრილი ხახვი ჩაყარეთ და ერთათ მოხრაკეთ, მანამ სულ დაწითლდეს, შემდეგ ის დამძი მოყვანილი ფლავი, რომ დაასხათ ბლუდზედ, მერმე ეს ყაურმა დაასხით და შემოდან კიდევ ბრინჯით დაჭტარეთ ყაურმა და ცალკე სხვა ერბო გააცხელეთ და იმ დროს ბლუდზედ მოასხით ზეიდგან, შემდეგ ის ფლავის ძირში რომ ყაზანდები აქვს, ქაფქირით ააძრეთ, ფლავს ბლუდზედ მოუწუეთ და ისე მიართვით.

მასალათ მიეცით: ცხრა კაცისათვის

- სპი გირვანქა ბრინჯი,
- გირვანქა ხახვიანი ერბო,
- ხუთი კვერცხი,
- ერთი გირვანქა ხორცი,

67. ფლავი ბატკან ჩატანებული, ანუ ხოხობ ჩატანებული

ბრინჯი ყოველთვის ისე უნდა მოხარშოს, რომ გორც ზემოთა სწერია და თუ ბატკნის ჩატანება გინდათ, ან ხოხობისა, ჯერ შესწომთ, მერმე ახლ-ახლთ დასტკრით და ბრინჯს, როდესაც დამისათვის ჩატყრით მოხარშულსა, მასინ იმ ხოხობსაც შიგ ჩატანთ შუაშია, თუ გენებებათ და მოხარშულს ქათამს ჩატანთ და როდესაც დამი მოუკა, როგორც ზემოთა სწერია, ერბოსაც იმ გვარათ უზამთ.

მასალათ მიეცით:

ერბო ისევე ისე, როგორც ზემოთა ჳსწერია,
ღ სოხობი, ანუ ბატკანი,

68. მუთანჯის ფლავი.

